ონის მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი # 6

ქ. ონი 8. 06. 2022 წ.

ონის მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომას თავმჯდომარეობდა კომისიის თავმჯდომარე სერგო ლობჯანიძე.

სხდომას 11 წევრიდან ესწრებოდა 8 წევრი: სერგო ლობჯანიძე, ვასილი მეტრეველი, ლევან ორდინიძე, მამუკა ყავლაშვილი, გივი მეტრეველი, სონია გუგეშაშვილი, რევაზ საბანაძე, შალვა კახეთელიძე.

არ ესწრებოდა : ზურაბ ბენდიანიშვილი, ნოდარ ბურდილაძე, თამაზ მეტრეველი.

ს. ლობჯანიძემ კომისიის წევრებს გააცნო კომისიის სხდომაზე განსახილველი საკითხი:

1.ონის მუნიციპალიტეტის 2022 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხს. სერგო ლობჯანიძე-კომისიის თავმჯდომარე

2.ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის ინფორმაცია 2022 წლის 6 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხს. სერგო ლობჯანიძე-კომისიის თავმჯდომარე

მოისმინეს: 1. ონის მუნიციპალიტეტის 2022 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხს. სერგო ლობჯანიძე-კომისიის თავმჯდომარე

მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი ონის მუნიციპალიტეტის 2022 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილების შეტანის შესახებ.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს დადგენილების პროექტით წარმოდგენილი ცვლილებების შესახებ.

აზრი გამოთქვეს: ვ. მეტრეველმა ისაუბრა ინფრასტრუქტურული კუთხით მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროექტებზე და აღნიშნა, რომ სოფ. კვაშხიეთში გათვალისწინებული სანიაღვრე არხის პროექტი არ ეხება მურმან ლებანიძის ღონისძიებას, ამ მიმართულებით გვქონდა სხვა სურვილი. უმჯობესი იქნებოდა, დაგვესრულებინა თავშეყრის ადგილი და მიმდებარე ტერიტორია შეგვეერთებინა, როგორც დასასვენებელი ადგილი სკამებით და მოპირკეთებით.

ს. ლობჯანიძემ აღნიშნა, რომ უამრავი, მოსახლეობისთვის გაცილებით უფრო პრიორიტეტული ინფრასტრუქტურული საკითხებია მოსაგვარებელი და ვფიქრობ, არსებული თანხით უმჯობესი იქნებოდა იმ პრობლემის მოგვარება, რაც უფრო აქტუალურია ამ ეტაპზე.

მოისმინეს: 2. ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის ინფორმაცია 2022 წლის 6 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხს. სერგო ლობჯანიძე-კომისიის თავმჯდომარე

ს. ლობჯანიძემ კომისიის წევრებს წარუდგინა ინფორმაცია საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 2022 წლის 6 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სერგო ლობჯანიძე

კომისიის თავმჯდომარე